ქ. თბილისში, მუხიანის დასახლების IVბ მ/რაიონში, #29 კორპუსის მიმდებარედ.
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.11.13.010.051,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით,
სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლების IV მ/რაიონში, #29 კორპუსის მიმდებარედ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.11.13.010.051, ხოლო ფართობი შეადგენს 547 კვ.მ-ს.
ქ. თბილისის გენ-გეგმის ფუქნციური ზონირების რუკის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 6-ში (სზ-6), რომლის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: k1=0.5 da k2=2.5. ქ.თბილისის მერიის 2014 წლის 15 აპრილის #842 განკარგულებით, გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და ახალი ქალაქთმშენებლობითი პარამეტეები განისაზღვრა კ1=0,7 და კ2=4,2.
სპეციალური ზონალური მოსაკრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:
L / k2 X (k2'-k2-20%) X მ,
სადაც
L არის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი
k2' – სპეციალური ზონალური შეთანხმებით მინიჭებული განაშენიანების ინტესიობის კოეფიციენტი
k2 – დადგენილი განაშენიანების ინტესიობის კოეფიციენტი
მ – მიწის ნაკვეთის ფართობი
შესაბამისად სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებელი იქნება
26 ლარი / 2.5 X (4.2 –2,5+0.5) X 547 მ^2=6827,0 ლარი

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლების IVბ მ/რაიონში, #29 კორპუსის მიმდებარედ.
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.11.13.010.051,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით,
სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის გრაფიკი

გადასახდელი თანხა 6827,0 ლარი

გადახდის თარიღი	გადასახდელი თანხა (ლარი)
ივნისი 2014 წელი	568,92 ლარი
ივლისი 2014 წელი	568,92 ლარი
აგვისტო 2014 წელი	568,92 ლარი
სექტემბერი 2014 წელი	568,92 ლარი
ოქტომბერი 2014 წელი	568,92 ლარი
ნოემბერი 2014 წელი	568,92 ლარი
დეკემბერი 2014 წელი	568,92 ლარი
იანვარი 2015 წელი	568,92 ლარი
თებერვალი 2015 წელი	568,92 ლარი
მარტი 2015 წელი	568,92 ლარი
აპრილი 2015 წელი	568,92 ლარი
მაისი 2015 წელი	568,92 ლარი

შპს " ESSA GE"–ს დირექტორი:  ვ. ჯალაღონია

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 842

" 15" აპრილი 2014 წ.

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, მე-4ბ მიკრორაიონის №29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.13.010.051), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 3 აპრილის სხდომის №13 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, მე-4ბ მიკრორაიონის №29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.13.010.051), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=4,2.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE81LB0125152101627931**.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე